საქართველოს მთავრობის

დადგენილება №170

2018 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის“:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{21}“ და „ჰ^{22}“ ქვეპუნქტები:

„ჰ^{21}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ცოცხალი ბაყაყების ექსპორტისათვის (დანართი №54);

ჰ^{22}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში ცხვრის/თხის ნაწლავების (გასუფთავებული – დაუმუშავებელი) ექსპორტისათვის (დანართი №55).“.

2. №53 დანართის შემდეგ დაემატოს თანდართული შინაარსის №54 და №55 დანართები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**